თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 09

31 მაისი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 29 დეპუტატი და 2020 წლის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული 1 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე ალექსანდრე კუპატაძე;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ბესიკი ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული;
საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-კონსერვატორები“
თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარის მოადგილე ბაადური რევაზიშვილი;

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, დავით ჯორჯაძე, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, გიორგი მეტრეველი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიაპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის იურდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების **უფროსი ელენე ფროდეული;**
მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები.

მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

ნ.ხვისტანმა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად დავით ჯორჯაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის N21 დადგენილებაში "თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ" - ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

გ.ენუქიძემ მოითხოვა სხდომის დღის შეტანილ იქნეს საკითხი: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ტ.დარეჯანიშვილმა, ი.პარწიკანაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, დ.ჯორჯაძემ, გ.ორკოდაშვილმა მოითხოვეს საკითხის „სხვადასხვა" დამატება.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით **დღის წესრიგი** დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ლილუაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

   მომხს. ნ.ხვისტანი
   12.00სთ-დან - 12.05 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად დავით ჯორჯაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

   მომხს. ნ.ხვისტანი
   12.05სთ-დან - 12.10 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების შესახებ.

   მომხს. ნ.ხვისტანი
   12.10 სთ-დან - 12.20 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N16 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ა.შათირიშვილი
   12.20სთ-დან - 12.30 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N18 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ლ.კოჭლოშვილი
   12.30სთ-დან - 12.40 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ე.ფროდეული
12.40სთ-დან - 13.00 სთ-მდე

7. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
13.00სთ-დან - 13.10 სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის N21 დადგენილებაში "თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ" - ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
13.10სთ-დან - 13.20 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. გ.ენუქიძე
13.20სთ-დან - 13.30 სთ-მდე

10. „სხვადასხვა“

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ლილუაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.05 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ლილუაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტა 2021 წლის 21 მაისიდან მიღებულ იქნეს ცნობად.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად დავით ჯორჯაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.05სთ-დან - 12.10 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად დავით ჯორჯაძის უფლებამოსილება მიღებულ იქნეს ცნობად.
(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.10 სთ-დან - 12.20 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ესტონეთში მივლინება 2021 წლის 5 ივნისიდან 12 ივნისის ჩათვლით მიღებულ იქნეს ცნობად.

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N16 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ა.შათირიშვილი
12.20სთ-დან - 12.30 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N18 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.კოჭლოშვილი
12.30სთ-დან - 12.40 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ე.ფროდეული
12.40სთ-დან - 13.00 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>7.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
13.00სთ-დან - 13.10 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ი.პარწიკანაშვილმა** დასვა კითხვა სასმელი წყლის სისტემების და გზების რეაბილიტაციისატვის გამოყოფილი ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით.

რაზეც **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ შემცირება მოხდა წარმოშობილი ეკონომიების საფუძველზე და თანხები გადანაწილდა სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26 (ოცდაექვსი) წევრმა, **წინააღმდეგი:** 01(ერთი)წევრი - **ი.პარწიკანაშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03(სამი) წევრმა **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ და ბ.რევაზიშვილმა.**

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის N21 დადგენილებაში "თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ" - ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

13.10სთ-დან - 13.20 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. გ.ენუქიძე

13.20სთ-დან - 13.30 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29 (ოცდაცხრა) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა **ლ.მენთეშაშვილმა.**

10.მოისმინეს: „სხვადასხვა"

1. **გ.ორკოდაშვილმა** აღნიშნა, რომ გავრცელდა მოსახლეობაში მცდარი ინფორმაცია სოფელ კისისხევში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზაციის შესახებ, რასაც მოსახლეობის მხრიდან მოყვა პროტესტი.
   აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთებზე პრივატიზების შესახებ აუქციონი არ არის გამოცხადებული და მოსახლეობას უნდა ეცნობოს სიმართლე.

   გ.ორკოდაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში გამოვლინდა 5 პროექტი, რომელთა განხორციელებაც ამ ეტაპზე არ დაწყებულია, აუცილებელია მერიამ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. **ტ.დარეჯანიშვილმა** ისაუბრა ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს ინიციატივის შესახებ და აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოძიებული იქნეს თანხები სოფელ გულგულაში ჭაბურღილის მოსაწყობად, რადგან სოფელში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ჭაბურღილი და ზაფხულის პირობებში მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით.

3. **დ.ჯორჯაძემ** ისაუბრა ქალაქის და სხვადასხვა სოფლის სკვერებში არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა უზრუნველყოს იქ არსებული სავალალო მდგომარეობის გამოსწორება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ქ.თელავში სოხუმის ქუჩის მცხოვრებლები მოითხოვენ მინი მოედნის მშენებელობას.

დ.ჯორჯაძის განცხადებით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ქალაქის ქუჩებში არ არსებობს ქუჩის დასახელების და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები, რაც მრავალ უხერხულობას უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და ჩამოსულ სტუმრებს.

4. **ბ.რევაზიშვილი** დაეთანხმა დ.ჯორჯაძის წინადადებას სკვერებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მან აგრეთვე ისაუბრა პოლიტიკური პარტიის „ნაციონალური მოძრაობა“ თელავის რაიონული ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ მერიამ გამოყო მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერების ადგილი, რამაც უფრო გაართულა მსუბუქი ავტომობილების პარკირების თემა აღნიშნულ ტერიტორიაზე და კარგი იქნება თუ მუნიციპალური ტრანსპორტისთვის გამოიყოფა გაჩერების სხვა ალტერნატიული ადგილი.

5. **ი.პარწიკანაშვილმა** ისაუბრა სოფელ აკურაში არსებულ პრობლემებზე:

ა) შესაკეთებელია სასმელი წყლის მაგისტრალი(ბინძურდება სასმელი წყალი);

ბ) მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები;

გ) სოფლის ცენტრში ცენტრალურ გზაზე უნდა აიკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების დგომა, რაც ხელს შეუწყობს აქ არსებული საფრთხის შემცველი მდგომარეობის განმუხტვას.

მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვიდა სოლიდური თანხები სოფელ აკურაში მდებარე მიწის ნაკვეთების გასხვისების შემდგომ და კარგი იქნება თუ მერია აღნიშნულ თანხებს მოახმარს სოფელში არსებული პრობლემების მოწესრიგებას.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**